დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფ. მარჩინ ჰოლუბის ლექციები სტუ-ში

25 – 29 ივნისს, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სტუმრობდა პოლონეთის შჩეცინის დასავლეთ-პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (West Pomeranian University of Technology – WPUT) ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფ. მარჩინ ციოლკოვსკი (Marcin Ziolkowsky).

პოლონელმა პროფესორმა ლექციები წაუკითხა სტუ-ს ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტისა და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტუდენტებს. სალექციო კურსის თემა ეხებოდა ელექტრონიკასა და მაგნიტურ რეზონანსულ ტექნიკას, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტებში. ამავე დროს, Erasmus+ აკადემიური პერსონალის მობილობის პროექტის ფარგლებში, რომლის კოორდინატორია ზემოაღნიშნული პოლონური უნივერსიტეტი, სტუ-ს სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, დასწრებოდნენ და გაეზიარებინათ უცხოელი პროფესორის გამოცდილება.

პოლონელმა სტუმარმა ტექნიკურ უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, აგრეთვე, დაათვალიერა საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა, გაეცნო საგანმანათლებლო და კვლევით ლაბორატორიებს: ფიზიკის ლაბორატორიას და სამედიცინო ტექნიკის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიას.

ტექნიკური უნივერსიტეტში სტუმრობისას პოლონელი პროფესორი, ასევე, შეხვდა Erasmus+ ინსტიტუციონალურ კოორდინატორს, პროფ. ოთარ ზუმბურიძეს, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვენელს, პროფ. ირინე გოცირიძეს, ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, პროფ. თინათინ კაიშაურს და ტექნიკური უნივერსიტეტის სხვა პროფესორ-მასწავლებლებს.

შეხვედრებზე განხილული იქნა და დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები, მათ შორის, საბოლოოდ ჩამოყალიბდა სტუ-ს და დასავლეთ-პომერანიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავებული დამატებითი დოკუმენტი, რაც ითვალისწინებს სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივ განხორციელებას.

მობილობის პროგრამა, ასევე, ითვალისწინებდა კულტურულ ღონისძიებებს, სადაც პოლონელ სტუმარს საშუალება ჰქონდა, დაეთვალიერებინა თბილისი და მისი ღირსშესანიშნაობები.

პოლონელი მეცნიერის ლექციები და მასთან შეხვედრები ორგანიზებული იყო სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების და სტანდარტების სამსახურის მიერ.

SECURE
DELDS

DEEDS
NOT WORDS